თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3363393

ნომერი: AR1515525

თარიღი : 19.06.2017

გაცემის თარიღი : 30.06.2017

გაცნობის თარიღი : 30.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო შევარდნაძე პ/ნ 01017016554
- თბილისი

ორგანიზაცია:
- ლოგ აუტ კოდი: 400056719

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1515525 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით, #AR1512651 #AR1512652 განაცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 09 ივნისის #AR1512652 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ნოდარ ხუხაშვილმა და მოითხოვა, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, მე-4 მ/რ-ში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს, #01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულზე მიწის ნაკვეთის სამშემებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ბეწზინ ან დიზელ გასამართის განთავსების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2017 წლის 24 ივნისის #3322254 ბრძანებით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2017 წლის 09 ივნისის #AR1512651 ელექტრონული განაცხადით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ნოდარ ხუხაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, მე-4 მ/რ-სა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, #01.11.17.008.032 საკადასტრო ერთეულზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსების მიზნით, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წერილში დასმული საკითხის ცნობის სახით მისაღებად საჭიროა ინტერაქტიულ რუქაზე მთლიანად მონიშნოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები(მუხიანის დასახლება, მე-4 მ/რ-ში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარე). იმის გამო, რომ ამჟამად შეტყობინების სახით მონიშნულია მხოლოდ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.11.17.008.032, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, შეტყობინების ცნობად მიღებასთან დაკავშირებით.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge